ცნობის ფურცელი

№ 2002 სამშაბათი, 3 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2002

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

წარმოდგენა 20. ტელეფონი 617

✡ საბენეფისო წარმოდგენა ✡

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, 1902 წელს
◆ მიხეილ ქორიძის სადებიუტოდ ◆
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ორი პიესა

I
ავადმყოფნი
დრამა 2 მოქმ. გ. გაუპტმანისა
პირველად ახალი პიესა

II.
დედის ნებიერი
კომ. ფარსი 3 მოქმ. რუსულ. გადმოთარგმ. დ. აწყურელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქორიძე, ელენტი და სხ.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„ტარტიუფი“**. **„მეჯლიში [illegible]“** (ვ. აბაშიძის საბენეფისოდ) **„სიძე-სიმამრი“**, **„გრიგალი“**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. [illegible] ქუჩა № 24 სახ. ჯაჩნაძისა. (წ).

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
ახალი წიგნი
ჩვენს დედებს
პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
ფასი ხუთი შაური. (5—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ქირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

გ. გ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. გ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) **მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროვატები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: ტფილ., ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

საკონცერტო დარბაზი
არტისტიულ საზოგადოებისა
21 დეკემბერს
გაიმართება **„ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების“** სასარგებლოდ
საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბ-ნნი ნიკოლაევი (პიანისტი), ბ. პალივკა (ვიოლონჩელი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბ. ბროჯი-მუტინი (მომღერალი); ქ-ნნი ბაბაევა (მომღერალი), ბბ. აკაკი, ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცების) ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება „ქართ. შ. წ. კითხვის საზოგადოებაში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—1)

„ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“
ხელის მომწერთ **1903** წლის დამდეგს
პრემიად გაეგზავნებათ
შოთა რუსთაველის
ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქნება. სურათი გაეგზავნებათ აგრეთვე **მარტო „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ.** ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მანეთი 50 კაპ. ღირება.

ექიმი
დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

[illegible] ქუჩა. სახლი მარტინოვსკისა, სა[illegible]ო კრუჟოკის პირდაპირ. (45—30)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

გერმანია. გერმანიის პარლამენტში ჯერ არ შეწყვეტილა ის გაცხარებული ბრძოლა, რომელიც პურის ბაჟის პროექტის გამო ასტყდა. პრუსიის თავად-აზნაურობა თავგამოდებით იცავს თავის ჯიბის ინტერესებს: მოუმატეთ უცხოეთის პურს ბაჟი, რა არის ჩვენი პური ძვირად გაიყიდოს და ხალხის ღარიბ ჯიბიდან ორი გროში ჩვენ ჯიბეში ჩაჩხრიალდეს, რადგან ჩვენ ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრებას ვართ მიჩვეულიო. ოღონდ თავის მიზანს მიაღწიოს და არც კანონს და არც წესს არ დაეძებს მაღა გამგელებული პრუსიელი წარჩინებული წოდება

თავ-გამოდებით, გატაცებით იბრძვის დემოკრატიაც, რომელიც მხნედ და მტკიცედ იცავს ღარიბ ხალხის ინტერესებს და თან კანონიერებას და წესს; „წესის დამრღვევლად“ და „ალმაშფოთებლად“ წოდებული სოციალ-დემოკრატი არსებულ კანონიერებას იცავს „ტახტისა და მეფის“ ერთგულთა იერიშისაგან!

ორივე ბანაკის დასახასიათებლად მოგვყავს ორი სიტყვა—ერთი ფონ-კრეხერისა და მეორე ბებელისა. ფონ-კრეხერი ტიპიური წარმომადგენელია გერმანელ თავად-აზნაურობისა; მისის აზრით, გერმანიის იმპერია ამ თავად-აზნაურობის ლუკმად არის შექმნილი, და ვინც მისი წინააღმდეგია და ხალხის ინტერესებს იცავს, ის „წესის დამქცევი“ რევოლიუციონერია, რომლის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული. ერთხელ ფონ-კრეხერმა სთქვა—გერმანიის კანცლერს ჭკუა და განვითარება კი არ უნდა, არამედ გაბედული თავხედობაო, რომ, რასაკვირველია, უფრო კარგად ეყმოს თავად-აზნაურობას და თან სასტიკი ღონისძიება არ დაიშუროს დემოკრატიის წინააღმდეგ.

„სულელები ან წმინდანები ვიქნებოდითო, სთქვა კრეხერმა თავის პარტიაზე, რომ ყოველი საშუალება არ ვიხმაროთ თქვენ (სოციალ-დემოკრატების) წინააღმდეგ. ჩვენ შორის ხომ ომია! განა ბებელმა არ გამოგვიცხადა აქ, რეიხსტაგში—„ომი გნებავთ? ბატონი ბრძანდებით“-ო?.. დიახ ჩვენ შორის ომია და, უნდა გამოვტყდე, რომ აქამდე რამდენჯერმე გაიმარჯვეთ კიდეც, რაც ჩვენთვის დიდი სირცხვილია. ჩემი მეგობრე-

ფელეტონი

იმერეთის სამღვდელოების საყურადღებოდ

საზოგადოდ ყოველგან მიღებულია, რომ სანამ რაიმე საზოგადო საქმეს გადაწყვეტდნენ, ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით შეუდგებიან იმის ყოველ-მხრივ დაფასებას, აწონდაწონვას; გამოარკვევენ ამ საქმის მავნებელ ან სასარგებლო მხარეებს, ასჯერ გაზომვენ და ბოლოს გადასჭრიან; და ჩვენც არ შეგვიძლიან სრულის თანაგრძნობითა და პატივით არ აღვნიშნოთ ერთი საშუალება. აზრი-აზრს დაეჯახება, დაამარცხებს ან გაიმარჯვებს და ბოლოს საზოგადო სამსჯავროს წინ წამოდგება დასაბუთებული, გამარჯვებული, მკაფიო და გარკვეული აზრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის ასეთს თუ ისეთს გადაწყვეტას, დაბოლოვებას; ამისთანა გადაწყვეტილება აღბეჭდილი იქნება წინასწარ მოფიქრებულის და დასაბუთებულის ბეჭდით და არავის ნება არა აქვს შესწამოს აჩქარებულობა, ცალ-მხრივობა და უსაბუთობა. ყველა დამეთანხმება, რომ აღნიშნული საშუალება კარგი და მოსაწონია, რომ იგი ბევრად სჯობს იმ საშუალებებს, რომლებსაც ხმარობენ ხოლმე საზოგადოდ ჩვენის სამღვდელოების ყველა ყრილობაზედ: აქ ხშირად იმარჯვებს დასაბუთებული და სასარგებლო აზრი კი არა, არამედ ის პირადი შეხედულება, რომლის მხარეზე უფრო დიდ-ხმოვანი, ყურთა და გულთა წამღები და გონების დამახშობელი ღაღადისია.

ჩვენ ყრილობებზე აზრთა შებრძოლებებს ადგილი სრულებით არა აქვს, რომელიმე საქმის საზოგადო მნიშვნელობა ხშირად სრულებით რჩება უყურადღებოდ და ეს ადვილი ასახსნელიცაა: მთელი კრება ხშირად ხდება სათამაშო იარაღად ერთის რომელისამე წევრის ხელში, რომელიც ხან აქით უკრავს თავს და ხან იქით და გააქვს ლელო. ამისთანა შემთხვევებში კარგია კიდევ, თუ ორატორი გულწრფელი, შეგნებული და საქმის მცოდნეა, მაგრამ რაღა ვსთქვათ მაშინ, როდესაც ორატორი აღნიშნულ მაღალ ზნეობრივ თვისებებს მოკლებულია და ხელმძღვანელობს მარტო თავის პირადის, ვიწრო „მე“-ს მიხედულებით, თვისი პირადის სიმპატიისა და ანტიპატიის გავლენის ქვეშ? მაგრამ მეტყვიან: „ეს ცილის-წამებაა; როგორ შეიძლება ერთმა წევრმა შეიპყროს და შებოჭოს საზოგადო კრების აზრი; ეს დაუჯერებელიაო!“ დიახ, ასეთი დაუჯერებელი ამბები ხდება ხოლმე არა მარტო ჩვენ, იმერეთის სამღვდელოების ყრილობებზე, არამედ ყველგან, სადაც საქმის გარჩევა-გადაწყვეტას შეუდგებიან არა ისე, როგორც ზემოდ დავასახელე, არამედ ასე: მივლენ კრებაზე, საკითხს მოისმენენ და პასუხად უგებენ: „ჰო“, ან „არა“, მხოლოდ ამ „ჰო“-სა და „არა“-საც ზოგი სხვის ფეხის აყოლით გაიძახის და თვითონ არც კი აქვს გათვალისწინებული საქმის ნამდვილი ვითარება. მაგრამ, საბედნიეროდ ჩვენდა, ცხოვრება სწრაფის ნაბიჯით წინ იწევს, დრო იცვლება და სამღვდელოებას თან-და-თან ემატება შეგნებული წევრები, რომელთაც შეუძლიანთ სულ სხვა გვარად დაატრიალონ ჩარხი და გაჰკაფონ ის ჩირგვნარი, რომლითაც მოცული იყო წარსული ისტორია სამღვდელოების ყრილობებისა. მაშ, თანაძმებო, თუ თქვენც მეთანხმებით ჩვენი კრებების უვარგისობას, განვაგდოთ პირადი ანგარიშები, ხელი ხელს მოვკიდოთ საზოგადო საკითხების გადაწყვეტის დროს, დავსთმოთ დასათმობი, დავგმოთ დასაგმობი და განვიმსჭვალოთ ერთის აზრით, ერთის სულით და ერთის გულით. აქ მინდა წამოვაყენო ერთი ფრიად საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვანი საქმე—იმერეთის საეპარქიო ქალების სასწავლებელთან პანსიონის გახსნის შესახებ, რომელსაც განიხილავს სამღვდელოთა მომავალი დეკემბრის ყრილობა. ნუთუ ეს საქმე „ჰო“-თი და „არა“-თი უნდა გადასწყდეს, როცა იგი შეეხება მომავალთაობას ერთის მხრით და 100—120 ათას მანათს ხარჯს მეორე მხრით?

რამდენად სასარგებლო იქნება პანსიონი ჩვენის მოზარდ-დედათათვის, ამის წინასწარმეტყველება სახიფათო და მეტად ძნელია: აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ყოველგვარი პირობა კორპორაციულ ცხოვრებისა, რომელთა შორის ბევრი სასარგებლო და გამოსადეგი იქნება და ბევრიც მავნებელი და მოსარიდებელი ჩვენი ქალიშვილებისათვის. შეჯგუფებული ცხოვრება, ერთის მხრით, ჰბადავს სხვა-და-სხვა ავადმყოფობას და სნეულებას, ერთი შეხედვით—უსპობს მოსწავლეს თავისუფლებას და ჰხდის ავტომატად. მეორეს მხრით, ესევე ცხოვრება ზრდის მოსწავლეში საზოგადოებრიობას, ჰქმნის მტკიცე ხასიათს და მუყაითობას, ერთობრივ გრძნობას და სიყვარულს ამხანაგთადმი. დასახელებული მავნებელი მხარეები პანსიონის ცხოვრებისა (განსაკუთრებით—ავადმყოფობათა და სნეულებათა შესახებ) შეიძლება რამოდენიმედ თავიდან ავიცილოთ, თუ პანსიონს მოვაწყობთ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის თანახმად და მიხედულებით, რასაც, უეჭველია, დასჭირდება მეტი ნივთიერი მსხვერპლი ჩვენის მხრით. ავადმყოფობისა და სნეულებისაგან, როგორც ვიცით, ჩვენი შვილები პანსიონს გარეთაც არ არიან უზრუნველყოფილნი; კერძო ბინებზედაც, განსაკუთრებით ისეთ ბინებზე, სადაც ეხლა სცხოვრობენ ჩვენი შვილები, ავადმყოფობანი აუცილებელია; ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელ შემთხვევაში

ბი რომ პარლამენტს არ გაურბოდნენ, ყურდგლებსა და ხოხბებს მოსვენებაში სტოვებდნენ და თავიანთ დაწყევლილ მოვალეობას ასრულებდნენ რეიხსტაგში, ზინგერი (სოციალ-დემოკრატი) ვერ ეტყოდა დეპუტატ ბახემს (კონსერვატორს): „ჩვენ არ გვსურს ყური ვუგდოთ თქვენ სიტყვას, სანამ ჩვენ მოთხოვნას არ აასრულებთ“-ო. (როგორც ვიცით, ბახემმა ცილი დასწამა სოციალ-დემოკრატებს და ესენი ბოდიშის მოხდას თხოულობდნენ მისგან).

ფონ-კრეხერს, ვერ გაუგია, თუ პროლეტარიატის წარმომადგენელნი როგორ უნდა იყვნენ კანონ-მდებელნი (ე. ი. დეპუტატნი); ისეთი პირები, რომელნიც უარს-ჰყოფენ მეფეს, არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებას კანონ-მდებელნი კი არა, კანონ-მდებლობის ობიექტები უნდა იყვნენ; ე. ი. უნდა შემოღებულ იქმნას ისეთი ღონისძიება მათ წინააღმდეგ, რომ ან მოისპონ ან გასწორდნენო... ჩვენი აზრი ის არის, რომ, როცა ვხედავთ დაღუპვის დროის მოახლოვებას, ისევ ის გვირჩევნია სხვები დაიღუპნონო. „ბატონებო, განაგრძო კრეხერმა, მე წამიკითხავს კარლეილი (საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია) და არ მინდა, რომ პრუსიის თავად-აზნაურობამ გამოიჩინოს ისეთი თავქარიანობა, როგორც მისმა მოძმეებმა გამოიჩინეს საფრანგეთში—ისინი ვერ ჰხედავდნენ ბოლომდე, თუ რას მოასწავებდა ხალხი აჯანყება. ამიტომ ვეუბნები ჩემს მეგობრებს, რომ ეხლა ხოხბებზე ნადირობის დრო აღარ არის („ხალხზე ნადირობის დრო კი არის?“—მიაძახეს ორატორს მემარცხენეებმა). ეს ნადირობა კი არა, თავის თავის დაცვაა და ჩემი საქმე რომ იყოს, სოციალ-დემოკრატიას თავის სედანი ექმნებოდა აქამდე“ (სედანთან სასტიკად დაამარცხეს ფრანგები (1871) პრუსიელებმა). შესაფერი, საკადრისი პასუხი გასცა თავგასულ აზნაურს ბებელმა.

„რაც ეხლა გავიგონეთ, მაღალ ადგილის (იმპერატორის) გასაგონად იყო ნათქვამი—იწვევენ მთავრობას წესი დაარღვიოს. ბ. კრეხერი პირველად არ ასრულებს ძლიერ „მომრჯულებელის“ როლს. მაგრამ ისტორიკოსის როლში კი პირველად ვხედავთ. რევოლიუციის მოჩვენებას მაშინ ხატვენ ხოლმე კედელზე, როცა გაბატონებული კლასსი ახალ უპირატესობათ შეძენას სცდილობს და ხალხის წინააღმდეგობას ხვდება. მე მჯერა და გერწმუნებით, რომ, უფლება რომ ჰქონდეთ, ეცდებოდით ხალხის სასოწარკვეთილებამდე მიყვანას, რათა შემდეგ სისხლის ზღვაში ჩაგეღრჩოთ იგი. მაგრამ თქვენ ამას ვერ მიაღწევთ, სანამ ჩვენ აქ ვართ: ჩვენ კონსტიტუციის ნიადაგზე ვდგევართ, რომ სხვა კლასების გონიერ ელემენტებთან ერთად შევამსუბუქოთ ხვედრი მუშებისა და ამ გვარად ნიადაგი მოვუსპოთ ყოველგვარ ძალ-მომრეობით მოქმედებას. თქვენ რომ მოგეხერხებიათ ხალხისთვის უფლების წართმევა, საგანგებო კანონების შემოღება, ხალხის სინიდისის თავისუფლად გამოთქმის მოსპობა, მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ თქვენ, ბ. კრეხერო, და თქვენ თანამოაზრეებს გავიწყდებათ, რომ ხალხი ეხლა ის ბრბო აღარ არის, როგორც თქვენ გყავთ იგი წარმოდგენილი; ხალხი ჰფიქრობს და შემუშავებული აქვს თავის მოქმედების გეგმა; ხალხი—პოლიტიკურად აღზრდილი რამდენიმე მილიონი ადამიანია; მას აქვს ის, რაც თქვენ გაკლიათ—რწმენა, რომ მისი საქმე მართალი საქმეა, და მზად ყოფნა მსხვერპლი არ დაზოგონ ამ საქმისათვის. ეხლა თქვენ ძალ-მომრეობას გინდათ მიჰმართოთ ჩვენის ობსტრუქციის მომიზეზებით. მაგრამ როცა იმპერატორმა არხების პროექტი წარმოადგინა პრუსიის პალატაში, თქვენ ობსტრუქციას არ მიჰმართეთ? ან თვითონ რეიხსტაგში თქვენ არ გაიძახოდით—მთელ სამოქალაქო დებულებას უარვყოფთ, თუ ნადირობის წესის ერთი მუხლი არ შეიცვლებაო? ჩვენ კი, იმიტომ რომ კანონიერ საშუალებით ვეწინააღმდეგებით ახალ აღმაშფოთებელ ხარჯის გაწერას ხალხზე, რევოლიუციონერები და წეს-წყობილების მტრები ვართ! ეს მოძველებული სიმღერაა ყველა მტაცებლებისა, მაგრამ მისი ბოლოც დადგება. ბატონებო, მიეცით თავს სასჯელი და ცოტა მაინც იფიქრეთ; შეუძლებელია მუდამ და მხოლოდ ძალ-მომრეობის ყოვლის შემძლებლობის რწმენა; ყველაფერი ვითარდება თქვენ გარშემო, მხოლოდ თქვენ დარჩით ისევე უვიცი და ბეცი, როგორც გასულ საუკუნოების ფეოდალები იყვნენ. რაც უფრო უდიერ ღონისძიებათ მიჰმართავთ, რაც უფრო ურცხვად გასთელავთ უფლებას, მით უფრო ადრე დადგება დღე თქვენის განსამართლებისა! ჩვენ ვერ შეგვაშინებთ: უარესი დრო გვინახავს და ჩვენ მაინც გამარჯვებულები გამოვედით... რას ვიცავთ ჩვენ ეხლა რეიხსტაგში? არსებულ ტარიფს (ბაჟს), ხელ-შეკრულებათ, რომელნიც მთავრობამ შემოიღო, საპარლამენტო წესს, რომლითაც 31 წელიწადი ვხელმძღვანელობთ. თუ ჩვენი პარტია არ უფრთხის მეტად ენერგიულ ღონისძიებათა ხმარებას, კანონიერ გზას მაინც არ გადავცილებივართ. თქვენ-კი (კონსერვატორები და კათოლიკე პარტია) ნამდვილ რევოლიუციონურ გზას დაადექით, გადალახეთ უფლება და თქვენვე ხატავთ კედელზე წითელ მოჩვენებას? (ე. ი. ვითომ სოციალ-დემოკრატები ახდენდნენ რევოლიუციას)“.

ფონ-კრეხერების პოლიტიკა, მათი მეცადინეობა ძველ დროის დაბრუნებისა, ჯერ კიდევ აფერხებს ხალხის კულტურულ მუშაობას, მაგრამ იგი იმდენად უნიადაგოა პოლიტიკურად განვითარებულ და გაწვრთნილ ხალხში, რომ კრეხერების განსამართლების უკანასკნელი დღე ახლოა.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 1-ლ დეკემბერს, **ბათუმში ხმოსანთა დამატებით არჩევნები მოხდა.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ, აურჩევიათ სულ ცამეტი ხმოსანი; აქედან 10—ქართველია, 2—სომეხი და 1—ბერძენი.

✦ **კონცერტი „ქართველთა შორის წერა-კითხვ. გამავრ.“** საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება 21 დეკემბერს „საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში. მონაწილეობას მიიღებენ ოპერის მომღერალნი, პიანინოს, სკრიპკისა და ვიოლონჩელის დამკვრელნი, ქართული ხორო ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით და სხვანი. როგორც გავიგეთ, გადაუწყვეტიათ სალიტერატურო განყოფილებაც გამართონ.

✦ დღეს, 3 დეკემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება განაგრძობს **მეურნეობის საჭიროებათა პროგრამის** განხილვას. უნდა განიხილონ ორი მოხსენება: თავ. ლ. გ. ჯანდიერისა—„მიწის საკუთრების დაცვა“, და თავ. ვ. ს. მიქელაძისა—„წვრილი კრედიტი“.

✦ სახაზინო პალატათა უფროსების კრება დასრულდა. კრებამ მიწაზე **გადასახადები** განიხილა და დაამთავრა ამ გადასახადების გაწერა გუბერნიებზე. ამ გაწერვას მთავარმართებლის საბჭო განიხილავს ახლო მომავალში.

✦ 1-ლ დეკემბერს ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსი,** ინჟენერი ივანოვსკი სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგს წავიდა. უფროსის თანამდებობის ასრულება მიენდო თანაშემწეს, ინჟენერს შაიკევიჩს.

✦ ქალაქის **სკოლებში მასწავლებლების დანიშვნის** გამო სკოლათა გამგე კომისიასა და ქალაქის მოურავის მოადგილეს შუა უთანხმოება ჩამოვარდა: ბ-ნი შესტაკოვი იმ აზრისაა, რომ კომისიას უფლება არა აქვს მასწავლებლების დანიშვნისა, ეს გამგეობის უფლებად უნდა დარჩესო. თავისი აზრი ამ სიტყვებით აღუნიშნავს ქაღალდზე ბ-ნ შესტაკოვს: „მას აქედ, რაც ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ უარ ჰყო ქალაქის საბჭოს 1900 წლის 7 თებერვლის დადგენილება, სკოლათა გამგე კომისიისათვის ინსტრუქციის მიცემის გამო, ჩემის აზრით, კომისია არ უნდა შეჰხებოდა მასწავლებლის არჩევის საქმეს და მოვალე იყო ეს უფლება, ქალაქის დებულების მე-105 მუხლის ძალით, გამგეობისათვის დაეთმო“.

✦ საშუალო სასწავლებელში **ევროპიულ ენათა სწავლების განაწესრიგებლად** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კომისია შეადგინა ამ ენების ყველა მასწავლებლებისაგან, რომელთაც შეიმუშავეს კიდეც პროგრამა ამ საგნების სწავლებისა. ამ ჟამად, მზრუნველისავე განკარგულებით, ეს კომისია შეუდგა მოსწავლეთა გამოცდას, რომელიც ვაჟთა მეორე გიმნაზიიდან დაიწყეს გუშინ.

✦ ამას წინად ჩვენ დავბეჭდეთ, რომ ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში **ერთი სტიპენდიაა თავისუფალი** პუშკინის სახელობისა და ეს სტიპენდია მხოლოდ იმ მოსწავლეს დაენიშნება, რომელსაც უთუოდ ქალაქის ერთ-ერთი სასწავლებელი დამთავრებული ექნება. გამოუკვლევიათ და აღმოჩენილა, რომ პირველ გიმნაზიაში, სადაც ცხრაასამდე მოსწავლეა, ქალაქის სკოლაში სწავლა-დამთავრებული აღმოჩნდა ორი მოსწავლე; საზოგადოდ ქალაქის სკოლებში ნასწავლი მხოლოდ 8 გიმნაზიელი აღმოჩნდა.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში იმ საოპერო წარმოდგენისა, რომელიც თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართა მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ. ბილეთები გაიყიდა 1137 მან- 65 კაპ. პრემია იყო 436 მან. 50 კაპ., აქედან 200 მანეთი შესწირეს მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ, გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზემ—5 მან.; ი. ნ. სვეჩინმა—10 მან.; თავ. ნ. ა. ხერხეულიძემ—75 მან., თავ. ზ. გ. ერისთავმა—75 მან., თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა—15 მან., კნ. ბ. გ. ბარათაშვილისამ—2 მ., კნ. ნ. ე. ქობულიშვილისამ—3 მან., კ. ტ. ვარფოლომეევმა—8 მან., ს. გ. მირზოევმა—7 მ. 50 კ., თავ. ნ. რ. ერისთავმა—5 მან. ა. პ. მანთაშევმა—20 მან. ქ-ნმა როხლინისამ—4 მან. ყაზაროვმა—5 მან. და ვ. მ. თამამშევმა—2 მანეთი. სულ შემოსავალი იყო 1575 მან. 15 კაპ. დაიხარჯა: თეატრი—396 მან., ტანისამოსის დასაკიდი—77 მან. 85 კაპ., მარკები—46 მან. 90 კაპ. და ყვავილების კალათები—25 მან. სულ 545 მან. 75 კაპ. დანარჩენი 1028 მანეთი. გადაეცა საზოგადოების ხაზინადარს კნ. ე. მ. ერისთავისას.

ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა გულწრფელ მადლობას უძღვნის იმათ, ვინც ფული შემოსწირეს და წარმოდგენას ხელი შეუწყეს.

✦ ქალაქის საბჭოს მუდამ წელს შეტანილი აქვს ხარჯთ-აღრიცხვაში **გამგეობაში მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად** განსაზღვრული ფული. წელს 150 თუმანია დანიშნული და ამ ჟამად გამგეობა ამ ფულების განაწილებას ანგარიშობს.

✦ ქალაქის გამგეობაში წინად ნამსახურს ბ-ნ ნეჩაევს შეუმუშავებია ის წესები, რომლითაც ადვილად შეიძლება ქალაქში **შეშით გაჭირობას საჭირო თვალ-ყური ადევნოს** გა-

---

ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის რაციონალურად დაყენებული და ხშირად უბრალო ავადმყოფობა რთულდება და სამუდამო დაღს ასვამს თავის მსხვერპლს. პანსიონურ ცხოვრებაში-კი ავადმყოფობის წინააღმდეგ, უნდა ვიგულისხმოთ, მიღებულ იქმნება ყოველ-გვარი მეცნიერული საშუალება და, მაშასადამე, ამ მხრით პანსიონური წყობილება უფრო სასურველი უნდა იყვეს.

წარმოიდგინეთ ბალახვანის ქუჩაზე მობინავე ჩვენი ქალიშვილები: ჯერ რიგიანი საცხოვრებელი ბინები ამ ქუჩაზე არც-კი მოიპოვებიან და თუ სადმე-კი არის ასეთი ბინები, იქ მოწაფეებსაც არ იყვანენ საბინადროდ; მოწაფეებს ბინაზე იყვანენ ისეთნი (მომეტებული ნაწილი უკიდურესს სიღარიბის გამო), რომელთაც სხვა სალსარი ცხოვრებისა არ მოეპოვებათ და, ლუკმა პურის ძიებაში, არ დაგიდევენ თქვენის ქალიშვილის კეთილად და ჰიგიენურად ცხოვრებას და მოწყობას. ხშირად, ნოტიო, ძარა-სართულის ოთახი, რომელშიაც წყალი სდგას, არის ჩვენის ქალიშვილების სადგომი. ქარი, სიცივე, უჭმელ-უსმელობა (მე ვამბობ რიგიან, მოწაფის შესაფერ საჭმელ-სასმელზე), უსუფთაობა სულს უხუთავს და ყოველ-წამს თავს დასტრიის „შავი ყორანივით“ ნორჩ და სუსტ არსებას, ისეთს, როგორიც არის საზოგადოდ ქალიშვილი. ხშირად მსმენია მამებისაგან, რომ „გაჭირვება და ნაკლულევანება სწავლის ერთი უკეთესი იარაღიაო; რაო, თუ მე ჩემის შრომით შეშას ვჭრიდი, მჭადს ვაცხობდი, წყალს ვზიდავდი ერთის ვერსის მანძილიდან და ისიც გაკვეთილებს შემდეგ, თითქმის ცის-ქვეშ ვცხოვრობდი, რა უჭირს, ჩემმა შვილმაც მოითმინოს ჩემსავით სიშილი, სიცივე, წყურვილი და ყოველივე ნაკლულევანება იმ იმედით, რომ ყველა ამის დასასრული—სწავლის შესრულება იქნება“-ო; გამიგონია ხშირად იმისთანა მამებისაგან, რომელთაც სწორედ რომ მეტი სამართლიანობა და საქმის ცოდნა მოეთხოვებათ. ცხოვრება წინ მიდის, ადამიანის მოთხოვნილება თან-და-თან იზრდება და იგი ვეღარ კმაყოფილდება იმას, რის კმაყოფილიც იყო იმისი წინაპარი. მეორეც ისა, რომ კაცის და ქალის ბუნება, აგებულება, ფსიხიკა, ერთი და იგივე არ არის; ესეც არ უნდა დაივიწყოს კაცმა, როცა ქალების აღზრდის შესახებ მსჯელობს.

ეხლა ავიღოთ მეორე მხარე—თავისუფლების შეზღუდვა პანსიონში, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რამდენად შეზღუდულია მოწაფის ცხოვრება ყრუ და გაუნათლებელ ოჯახში. ამ მხრით მოწაფის ცხოვრება კერძო ბინაზედაც არ არის სახარბიელო და სანეტარო, თუმცა, უნდა ვსთქვათ, პანსიონურ ცხოვრებას ამით არაფერი ემატება და ეს მავნებელი მხარე მისი მავნებლადვე რჩება. ამგვარად, თუ ერთმანეთს დავუპირდაპირებთ პანსიონის სასარგებლო და მავნებელ მხარეებს, სასწორი პირველისაკენ გადაიხრება და, მაშასადამე, არჩევანიც მისკენ უნდა იქმნეს. არ შემიძლიან, არ მოვიხსენიო ზოგიერთების აზრი, რომ „პანსიონში სათუთად გაზრდილი ქალი სად უნდა ვაცხოვრო, როგორ შევინახოო“. მართალია, პანსიონური პირობები არ შეეფერებიან ჩვენს ოჯახურ პირობებს: იქ სხვა საჭმელ-სასმელია, სხვა ტან-ფეხი, სხვა სითბო, სხვა გვარი წყობილება, მაგრამ ეს კიდევ არა ჰნიშნავს, რომ ჩვენ ამგვარის მოსაზრებით პანსიონი უარ-ვჰყოთ.

ეხლა მოკლედ გავითვალისწინოთ, რამდენად საჭიროა ჩვენის ქალიშვილებისათვის პანსიონი. ზოგი აქაც შემაწყვეტინებს და მეტყვის: „რა საჭიროა, იქ ჩემ შვილს ხომ უფასოდ არავინ შემინახავს და ფულით სადაც მინდა, იქ ვაცხოვრებო“! ფულს-კი იხდის მოწაფის მამა იმის შესანახად, მაგრამ ეს ფული მიზანს ვერ აღწევს; მასპინძელი, რომელსაც აძლევენ რვა ან ათ მანეთს მოწაფის შესანახად, სცდილობს გამორჩეს რასმე თავის სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ წარმომიდგენია ბალახვანელნი ისეთ საზოგადო აზრებით გატაცებულ და ქველ-მოქმედ პირებად, რომ გამოურჩენლად სხვისი შვილი აიყვანონ და მისი მოვლა-შენახვა უსასყიდლოდ იკისრონ. პანსიონში რასაც მოწაფე იხდის, მასვე ხმარდება სავსებით (რადგან პანსიონს აზრად გამორჩენა არ ექნება) და, მაშასადამე, უკეთესად იქნება მისი ჭამა-სმის და ცხოვრების საქმე მოწყობილი. კაცი რომ ფულს ხარჯავდე, უკეთეს საქონელს მაინც უნდა ირჩევდე; ამ ორ საქონელში-კი პანსიონი რომ უკეთესია, ცხადზედ უცხადესი უნდა იყოს.

გადავიდეთ პანსიონის საჭიროებაზე: საეპარქიო სასწავლებელში ამ ჟამად სამასზე მეტი მოწაფე სწავლობს (ორ-სამ წელიწადში ეს რიცხვი ოთხასამდისაც მიაღწევს). თვით სასწავლებელი ქალაქის განაპირას არის, ბინები ახლო-მახლო ძვირი და სრულებით მოუწყობელი და უვარგისია საცხოვრებლად, ტალახი და წყალი წელამდის დგას (განსაკუთრებით ზამთრობით); ზოგი მოწაფე სოფ. ქვიტირიდან დაიარება, ზოგი—გოჭაურადან, ზოგი არქიელის მთიდან, ზოგი საიდან და ზოგი კიდევ საიდან. დაღალული, ილაჯ გაწყვეტილი, ამოწუწული წყალსა და ტალახში, ნახევრად მშიერ-მწყურვალი, სიცივისაგან მთრთოლარი, იგი შედის გაკვეთილზე, რომლისკენაც იმას არ მისწევს გული, რომელიც ვერ იზიდავს სავსებით, რადგან მას ხელს უშლიან ზემოდ-დასახელებული გარემოებანი. მაშასადამე, სწავლის საქმის წინ-სვლას ეს ძლიერად აფერხებს. სწორედ გულცივ კაცს შეუძლიან სთქვას, „არა უშავს რაო“, თორემ კაცი შეგნებული, მგრძნობიარე, კიდეც შეშფოთდება ამ სურათის ხილვით და დამეთანხმება, რომ რამდენადაც არა სასურველია აღნიშნული გარემოებები, იმდენად სასურველია პანსიონის გახსნა სასწავლებელთან.

ეხლა მოკლედ თვალი გადავავლოთ რა

მგეობამ. როგორც გვითხრეს, ეს წესები ბ-ნ ნეჩაევს გამგეობისათვის წარუდგენია და აცხადებს, თუ ამ წესებს შემოიღებთ. შეშის ვაჭრობა სრულებით გაწესრიგდება და ეხლანდელი უთავბოლობა ამ საქმისა ერთიანად მოისპობაო.

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ტფილისის მოქალაქეთა მოურავი **შულდანოვი** თანამდებობას თავს ანებებს.

◆ იბეჭდება და მალე გასასყიდად დარიგდება ქართული „კედლის კალენდარი“ 1903 წლისა, შედგენილი კრიგოლ ჩარკვიანის მიერ. კალენდარში მოთავსებულია ქართველთა, კათოლიკეთა, სომეხთა, მაჰმადიანთა და ებრაელთათვის საჭირო ცნობები.

◆ ხვალ კრება აქვს დანიშნული კავკასიელ შეუძლო სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების მიერ არჩეულ სარევიზიო კომისიას; ამ თვის 7-ს ამ საზოგადოების გამგეობას ექნება კრება, რომელზედაც შეუძლო სტუდენტების სათხოვრებს განიხილავენ.

◆ მადათოვის კუნძულზე სავაჭრო საქონლის მაღაზიის პატრონმა ივანე ფარსეგოვმა 28 ნოემბერს პოლიციის მე-9 ნაწილში გამოაცხადა, რომ ჩემის მაღაზიიდან მოსამსახურემ მიხეილ ნამორაძემ სხვა-და-სხვა დროს გაიტანა საქონელი, სულ 200 მანეთისა და მიჰყიდა მჭედლების ქუჩაზე ვაჭარს წყალობა ყაზაროვსაო. პოლიციამ დააპატიმრა როგორც ნამორაძე, ისე ყაზაროვი და გადასცა გამომძიებელს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში გუშინ-წინ მისულა თელავის მაზრის სოფ. ურიათუბნის მცხოვრები ალექსანდრე ცერცვაძე და განუცხადებია, რომ მთელ დღეს ვქეიფობდი ჩემ ერთ ნაცნობთან, სახელად ილიკოსთანაო (გვარი არ იცის). საღამოს ილიკოს რჩევით დიდუბისაკენ გამგზავრებულან. როცა შესულან მუშტაიდის ბაღში, ეტლი გაუსტუმრებიათ და ქვეითად წასულან. გზაში ცერცვაძე წაუქცევია ილიკოს და ბევრი უცემია, შემდეგ აუგლეჯია ვერცხლის ქამარი, 60 მან. ღირებული, საათი, ფულად 20 მ. და სხვა ნივთები და მიმალულა. ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად გამოძიება სწარმოებს.

◆ ამ ორის დღის წინად ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონტროლის მოხელის დავით გრიგორიევისა, რომელსაც 4000 მან. ყალბის თამასუქის შედგენა ჰბრალდებოდა. რადგანაც სასამართლოში მოწმეები არ გამოცხადდნენ, საქმე გადაიდვა 17 იანვრისათვის.

◆ შამხორიდან გვატყობინებენ: 1-ლ დეკემბერს, ღამე, ოთხი შეიარაღებული თათარი რკინის გზის მე-444 ვერსზე თავს დაეცა ინჟენერ კარაპეტოვის ქარხნის დარაჯს (ახალ-ხიდს აშენებენ) მაჰმუდ კატოღლისა, რომელსაც წაართვეს 25 მანეთი და ჩოხა და დაიმალნენ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სახელოსნო გამგეობის გაუქმების შემდეგ, გუბერნატორის განკარგულებით, მთელის დაწესებულების ქონება გადაეცა ქალაქის გამგეობას. ხელოსანთა დადგენილების ძალით მთელი ეს ქონება უნდა მოჰხმარდეს ხელოსნებისავე საზოგადო საქმეს. რადგანაც ხელოსნებს საზოგადო საქმე ჯერ-ჯერობით არაფერი აღმოუჩნდათ და ნივთები ტყუილად უფუჭდებათ, ამიტომ ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს, რომ ნივთები ვაჭრობით გაიყიდოს და შემოსული ფული მოხმარდეს ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებელს, სადაც უმეტესად ხელოსანთა შვილები სწავლობენ.

◆ ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, ქუთაისში სახალხო წარმოდგენების მოთავეთ ჰქონდათ კრება, რომელსაც 25 კაცი დაესწრო. კრებამ, სხვათა შორის, საჭიროდ დაინახა, რომ სახალხო წარმოდგენების დროს თეატრში ადგილების ფასს მოემატოს. მართალია, საჭიროა ადგილების ფასების მომატება, მაგრამ ერთბაშად მათი გაორკეცება კი ჯერ-ჯერობით ნაადრევად მიმაჩნია. პირველი წყება, რომელიც ამდენ ხანს ხუთ შაურად ღირდა, ეხლა ორ აბაზად გახადეს, მეშვიდე წყება კი ორი შაურიდან აბაზამდის ასწიეს. ბევრად უკეთესი იქმნებოდა, ცოტ-ცოტათი, თანდათანობით აეწიათ ადგილების ფასი, რომ ხალხისათვის დიდათ საგრძნობელი არ ყოფილიყო.

◆ საეპარქიო სასწავლებელში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად დანიშნული ტრიფონ ჯაფარიძე უკვე ჩამოვიდა და შეუდგა თანამდებობის ასრულებას. ამ ყმაწვილმა წელს გაათავა სასულიერო აკადემია კიევში.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შეაქვს ახალი დებულება დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა. ამ დებულებით უფლებანი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთა სამკურნალო ფაკულტეტებისა გათანასწორებულია.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს შეიმუშაოს პროექტი გლეხთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა. ჰფიქრობენ, ძალიან გააადვილონ და გაამარტივონ ასეთ ამხანაგობათა დაარსება. დღეს არსებული წესდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისა ხელმისაწვდომია უფრო მსხვილ მემამულეთათვის.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. „პატარა კახის“ წარმოდგენას ძლიერ დიდი საზოგადოება დაესწრო, უადგილობისა გამო ბევრი ფეხზე იდგა. დღეს ჩვენში ისტორიულს პიესებს დიდი გასავალი აქვს, კარგად წარმოდგენილი ისტორიული პიესა ყოველთვის გაავსებს თეატრს. დრამატიულს კომიტეტს არ შეუძლია არ მიიღოს ასეთს მოთხოვნილებას. ყველა ჩვენი ისტორიული პიესა, რასაკვირველია, არ ვარგა, მაგრამ თამამად შეიძლება ზოგიერთების წარმოდგენა ყოველ წელიწადს. ამ უკანასკნელებს ეკუთვნის „პატარა კახი“.

კვირის წარმოდგენაში თუ უმთავრესი მოთამაშენი საზოგადოთ კარგნი იყვნენ, სრულებით უვარგისი იყო მეფე-დედოფლის ამალა და ხალხი. ეს ღუპავს ყოველთვის ჩვენს ისტორიულს პიესებს. მეფე თეიმურაზს მხოლოდ ორი დარაჯი უდგა აქეთ-იქით, დედოფალს ერთი ქალიც არ ახლდა. ხან-და-ხან დავინახავდით სცენაზე 7—8 ქულაჯებში გამოწყობილ ბავშვს. ნუ თუ ესეთი იყვნენ „დიდებულნი“? ან ნუ თუ ირაკლის დროსაც აკრძალული იყო იარაღის ტარება?

პატარა კახის ძნელი როლი გვარიანად შეასრულა ბ. რომანიშვილმა· ჩვენ არ ველოდით, თუ ეს ახალგაზდა აქტიორი თავის ტვირთს გაუძლებდა, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლომდის გაუძლო და შესძლო შესაფერი ტონი აეღო. ყველაზედ უკეთ ასრულებდა თავის როლს ბ. გამყრელიძე (გელა), მისი სიტყვები ყოველთვის გრძნობით იყო გამსჭვალული.

„პატარა კახის“ შემდეგ ითამაშეს გ. სუნდუკიანცის „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, რომელიც ქ. გაბუნია-ცაგარლისამ და ბ. აბაშიძემ ისეთის მაღალის ხელოვნებით შეასრულეს, რომ ჩვენ ვერ ვბედავთ მათის თამაშის აღწერას. ბ. აბაშიძის ერთი მიმიკა საკმარისი იყო დაგენახათ, რომ უცბად გეგრძნოთ შესანიშნავის ნიჭის ძალა. ასეთი თამაში შეგიძლიათ ყოველ-დღე ნახოთ და მაინც არ მოგწყინდებათ.

ზ.

წერილი გორიდან

გორელები და გრამოფონი.—მომავალი სამკითხველო.

ჩვენს გორს არავითარი ცვლილება არ დასტყობია: უწინდელებრ საზოგადო ცხოვრება აქ ჩუმი, წყნარი და აუღელვებელია; ყველა კერძო ცხოვრების ჩარჩოებით კმაყოფილდება. ჭამა, სმა და ძილი,—სხვას გორელებისაგან ნურაფერს მოიკითხავთ.

ერთ ხანად გრამოფონების ეპოქა დადგა. დუქნებსა, მაღაზიებსა და სახლებიდან დილით საღამომდის ევროპიული, სპარსულ-თათრული და ჩვენებური სიმღერები მოისმოდა; ქუჩებში ყურთა სმენა აღარ იყო. ვიფიქრე, ეხლა კი გორი გრამოფონით და სხვა-და-სხვა სიმღერებით ჩაება ევროპიულს საზოგადო ცხოვრების ფერხულში და მარშების კვრით შედგა პროგრესის გზაზეთქო; მაგრამ გორელებმა მალე გრამოფონებიც მოიწყინეს, მოულოდნელად გააჩუმეს და ისევ ძველებური სიყუჩე ჩამოაგდეს.

აქაური ინტელიგენციაც ჯერ ვერ გამოფხიზლებულა. ბევრი ინტელიგენტი ეცადა რამე საზოგადო დაწესებულების დაარსებას, მაგრამ ამაოდ. იყო ლაპარაკი ბიბლიოთეკის დაარსებაზედაც, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა; უნდოდათ თეატრი აეშენებინათ და სურვილი სურვილადვე დარჩა. აი ეხლაც, ერთის მასწავლებლის ბ. ს—ის ინიციატორობითა და მეცადინეობით გადასწყვიტეს, იანვრიდან სამკითხველოს დაარსება სობორის სამრევლო სკოლის შენობაში. ამ სასიამოვნო გადაწყვეტილებამ ბევრს იმედი გაუღვიძა და გულში ნათელი ჩაგვისახა. მაგრამ შიში კი მაინც ისევ გვაქვს; ვაი თუ ეს იმედიც წინანდელ იმედებივით გაგვიცრუვდეს.

X.

დაბა-სოფლები

სტეფან-წმინდა. (მთა) 11 ნოემბერს, საღამოს 4 საათზედ, რვა შეიარაღებული ცხენოსანი ქისტი თავს დაეცა მეცხვარეთა ბინებს. ქისტებმა გარეკეს სამის ბინის ცხენები, ოსებისა და მოხევეებისა. ცხენების პატრონნი შიშით დამალულან. ქისტებს წინ გადასდგომია მეცხვარის ჯოხით ხელში ფიდო ჩოფიკაშვილი და გაუჩერებია რვა ქისტი და მეზობლის ცხენები; დაუძახნია ბინაში მყოფ პატარა ბიჭისთვის, თოფი ჩქარა, ბიჭსაც გაურბენინებია ჩახმახიანი თოფი, უსროლია ფიდო ჩოფიკაშვილს და ერთი ქისტი ცხენიდან გადმოუგდია. გაგულისებულ ქისტებს ფიდო ჩოფიკაშვილი იქვე მოუკლავთ. თოფები დაუშენიათ აგრეთვე ბინის მახლობლად მყოფ ორ წყემსისათვის.

ა. უ.

—

ალაგირი (თერგის ოლქი). ოც-და-ოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც რამდენიმე კომლი რაჭველობისა აბარგულა რაჭიდან სახნავ-სათეს მიწების და სხვა საცხოვრებლის უქონლობისა გამო და გადმოსახლებულა ალაგირში. ბრძოლა და შრომა ბევრი მოუხდათ, მაგრამ მაინც არ დაცნენ ეს რაჭველები. 50 გადმოსახლებული კომლი დღეს 115 კომლად გადაიქცა. არამცთუ ლუკმა პური, საკუთარი სახლ-კარი და სახნავ-სათესი მიწებიც კი მოუპოვებიათ. ის რაჭველი, რომელსაც შებოლილ, მიწურ სახლში მჭადიც კი ენატრებოდა, დღეს აქ ორ-სართულიან ქვითკირის სახლშია გამოჭიმული და მჭადის მაგიერ წმინდა პურს შეექცევა. „რავა გაგჩერდები იმ ადაგს, სადაც სიმშილით კუჭი დამიწყებს ქვე წვას;— წავალ, მივიგლ-მოვივლი და გავჩერდები იქ, სადაც ქვე მეცხოვრება“, აი პასუხი, რომელსაც მიიღებ რაჭველებისაგან, რომ ჰკითხოთ: რად ანებებთ სამშობლო ადაგს თავს და აქეთ-იქით იფანტებით. სწორედ იმიტომ რომელი კუთხეც უნდა შემოიაროთ კავკასიისა, ყოველგან შეჰხვდებით რაჭველს: მზარეულს, ლაქიას, მეპურეს და რკინის გზებზე ზოგიერთს ბუფეტების პატრონსაც.

ალაგირელი ქართველები სწავლა-განათლებისათვისაც სცდილობენ. ეხლა იმათ საკუთარი სკოლაც აქვთ. 1896 წლამდის აქაური ქართველები ბავშვებს რუსებისათვის არსებულ სამრევლო სკოლაში ატარებდნენ. რადგანაც ქართულ ენას არ ასწავლიდნენ, ბავშვები ვერც რუსულს სწავლობდნენ. ბევრმა სკოლის გათავების შემდეგ რუსული წერა-კითხვაც დაივიწყა. 1898 წელს ადგილობრივმა რუსებმა უარი გამოუცხადეს ქართველებს, ჩვენ

უჯდება მშობლებს ერთის ქალიშვილის შენახვა კერძო ბინაზე სამოსწავლო წლის განმავლობაში. საშუალო რიცხვით თვითოეული მოწაფე იხდის შესანახ-ფულად რვა მანეთს თვეში; სამოსწავლო წელიწადში რომ ცხრა თვე ვიანგარიშოთ, საჭირო იქნება 72 მან.; ეხლა ტანთსაცმელი: საცვალი სამი ხელი, სულ რომ მცირე ვიანგარიშოთ, სამი მანეთი, ფეხსაცმელი (ჩვენ ვღებულობთ მინიმალურ ფასს) ორი ხელი—ხუთი მანეთი, ქუდი ორი (საზამთრო და საზაფხულო)—სამი მანეთი, წინდები, ფართუკები და კაბები—10 მან., სამოსწავლო წიგნები და ნივთები—7 მან., აბანო, საპონი და სხვა წვრილმანისათვის—5 მან. სულ ას-ხუთი მანეთი. ყველა მამა დამეთანხმება, რომ ეს ხარჯი საჭიროა. ასე თუ ისე ამაზე მეტს არც პანსიონი ითხოვს და ცხოვრება-კი ორჯელ უკეთესი იქნება ამ უკანასკნელში. ასეთია ჩემი მოსაზრება ამ საგნის შესახებ, მაგრამ წინდაწინვე ვგრძნობ, ერთი ჯგუფი თანა-მოძმეებისა სიცილით მიმიღებს და მეტყვის: „ძმაო, ჩვენ გამოცდილები ვართ; იყო დრო, რომ სასულიერო ვაჟების სასწავლებელშიაც გვქონდა პანსიონი, ბევრი ხარჯი ვნახეთ და ხეირი-კი ვერაფერი და დიდის ზარალის შემდეგ—მივხურეთ; აბა, შენ რაღას გვირჩევ?!?“ ამათ პასუხში ერთი დიდი სიმართლეა: მართლაც, ნეტარ-ხსენებულ „ბურსის“ მსგავს რამის დაფუძნებას თუ სცდილობს სამღვდელოება, ეს დიდისაგან დიდი შეცდომა იქნება; წინდა-წინვე ვტყვი, რომ ორი-სამის წლის შემდეგ ამასაც ის დღე დაადგება, რაც დასახელებულ ბურსს. სალდათური და ყაზარმული ცხოვრება ჩვენ ქალიშვილებს არ შეუძლიათ, და თუ მე ვამტკიცებ სარგებლობას და საჭიროებას პანსიონისას, ვგულისხმობა ისეთ პანსიონს, რომელიც იქნება დაარსებული, როგორც ზემოთაც ვსთქვი, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის თანახმად, რასაც აუცილებლად დასჭირდება დიდი ფული, არა ნაკლებ 100—120 ათასის მანეთისა. თუ ასეთი პანსიონი დაარსდება, მეც თანავუგრძნობ და სასარგებლოც იქნება, და თუ არა, მე იმისი თანამგრძნობი და მოსარჩლე არა ვარ და ვურჩევ სამღვდელოებას, უკანასკნელ შემთხვევაში, ნურც მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს; 40—50 ათასი მანეთით ჩვენ მხოლოდ თავს და ჯიბეს ვაზარალებთ და საქმეს-კი ვერ მოვაგვარებთ და ხვალ-ზეგ სატირალი და სამწუხარო შეგვექნება.

რაც შეეხება საშუალებებს ამ დიდ საქმის მოსაგვარებლად, მე მსურს სამღვდელოების ყურადღება მივაქციო ერთს ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას. ჯერ მარტო სასწავლებლის შენახვა ეყოფა ტვირთად ჩვენს უიმისოდაც ღარიბ სამღვდელოებას და ეხლა კიდევ რომ 100—120 ათას მანეთიან საქმეს ხელი მოჰკიდოს, ეს ძლიან დაუძლურდება და წელში გასწყვეტს. ქალების სასწავლებელი, როგორც ვიცით, პირველად სამკლასიანი იყო და დიდი ხანი არ იქნება, რაც, ყოყმანის შემდეგ, სამღვდელოებამ იგი გადააქცია ექვს კლასიანად, რომლის შენახვის შესახებ, როგორც ვიცი, სამღვდელოება დღესაც ბევრს წუწუნებს. რათა ჩვენმა სამღვდელოებამ შეიძლოს რიგიანად საქმის მოგვარება, ამისათვის მე მივაქცევ მის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გურია-სამეგრელოს სამღვდელოების შორის დიდი ხანია ტრიალებს აზრი ამგვარისავე სასწავლებლის დაარსებისა, მაგრამ, რადგან მარტო თავის ღონითა და საშუალებით (ჯერ-ჯერობით მაინც) მიუწდომელი გახდომია, იგი არ არის წინააღმდეგი იმერეთის სამღვდელოებასთან შეერთებისა. ამ კეთილ და გონივრულ სურვილს არც ჩვენ უნდა ვკრათ გულზე ხელი, პირიქით, უნდა გამოვიყენოთ საქმის რიგიანად მოსაგვარებლად. თუ გურია-სამეგრელოს სამღვდელოება იკისრებს იმავე პირად ხარჯს, რაც გაუწევია იმერეთის სამღვდელოებას (მე აქ არ ვსთვლი არც განსვ. გაბრიელის შეწირულებას, არც სტრუისკების ანდერძს და ზოგიერთ სხვასაც), თუ კი ყოველი კრებული და ეკლესია აღნიშნულ ეპარქიისა გადაიხდის იმას, რაც გადაუხდია (და იხდის კიდეც) თვითოეულს კრებულს და ეკლესიას იმერეთის ეპარქიისას და დაუთმობს $^2/_3$ ან $^1/_2$ მაინც სანთლის წარმოების მოგებისას, როგორც იმერეთის სანთლის ქარხნიდანაც ეთმობა ამ საქმეს, ეს გადასახადი საკმაო თანხას შეადგენს, ასე რომ რიგიან პანსიონის საქმეც უზრუნველ-ყოფილი იქმნება და საზოგადოდ სასწავლებლის საქმეც ბრწყინვალედ დაგვირგვინდება. ამას იმერეთის სამღვდელოების მხრივ უნდა მივუმატოთ ის 2500 მანეთი, რომელსაც სანთლის ქარხანა იხდის საეკლესიო ხაზინის შესავსებლად. უკანასკნელის განთავისუფლება საძნელო არ იქნება, თუ სამღვდელოება გულით მოეპყრობა საქმეს და არა ისე, როგორც ერთ წარსულ კრებაზე მოეპყრო (ვიღამაც სთქვა —ამ ფულს არ დაგვანებებენო და ყველამ დაიჯერა და მიატოვა საქმე!).

თუ ეს საშუალება რითიმე უხერხული იქმნება, მაშინ იმერეთის სამღვდელოებას დარჩენია ერთად-ერთი გზა (თუ პრინციპიალურად გადასწყვეტს პანსიონის გახსნას)—განაგრძოს ის საკრებულო ყოველ-წლიური გადასახადი, რომელსაც დღემდის იხდიდა სასწავლებლის შესანახად, თუ სამუდამოდ არა, 20—25 წლით მაინც. ეს უკანასკნელი ძლიერ სამძიმო იქმნება იმერეთის სამღვდელოებისათვის და ამისათვის სულით და გულით ვურჩევ პირველ საშუალებას, რომელიც არავითარ ზიანს საქმეს არ მოუტანს, მით უფრო, რომ დღესაც სასწავლებელში მოსწავლეთა არა მცირედი რიცხვია საერო წოდებისა და გარეშე ეპარქიებიდან, სამღვდელოების საქმეს ეს, ვფიქრობ, ბევრით არაფრით ეხმარება და შეერთების საქმისათვის კი ერთი დიდი საბუთია.

მაშ, ვუსურვებ აღნიშნულ საქმეს კეთილად დაგვირგვინებას!

მღ. ზაქ. ლ—შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში თქვენ ბავშვებს აღარ მივიღებთო, და ამნაირი განწყვეტილება დაამყარეს იმაზე, რომ მასწავლებლის ჯამაგირს იხდიდა მხოლოდ მარტო რუსის საზოგადოება. მთავრობის მიერ რუსების თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. მაგრამ არც ქართველები დარჩნენ უიმედოდ: კავკავის საბჭომ ქართველებისათვის განსაკუთრებული მასწავლებელი დანიშნა. ეს მეოთხე წელიწადია, რაც ქართველებს საკუთარი სამრევლო სკოლა აქვთ. დღემდის მხოლოდ ერთი მასწავლებელი გამოიცვალა—ვ. დომთათიძე, რომელმაც თავი ამ ზაფხულს დაანება, და დაინიშნა ახალი მასწავლებელი.

უმთავრესს საზრუნავს აქაური ქართველებისას შეადგენს სკოლისათვის ადგილის მოშოვება და შენობის აგება. ეს საქმე 17 ნოემბერს გადასწყვიტა აქაურ ქართველობის კრებამ. არჩეულ იქმნა შვიდი კაცი, რომელთაც მიენდოთ როგორც ფულის გაწერვა შეძლების კვალად, ისე სკოლის საქმის წარმოება.

—ლი.

უცხოეთის წვრილი ამბები

მუნჯების ეკკლესია. პატარა ლამაზი და სალმრთო ისტორიის ამბებით დასურათებული ეკკლესია ბევრმა არც-კი იცის ლონდონში. ეს ეკკლესია განსაკუთრებით მუნჯებისათვისაა აგებული ოქსფორდსტრიტში. სრული მყუდროებაა თურმე ამ ეკკლესიაში: არც ორგანია აქ, არც გალობა, მხოლოდ მქადაგებელის ხმა გაისმის პასტორის გილბისა. როცა პასტორი კათედრაზე თავისს ადგილს დაიჭერს ხოლმე, რკალს ხელს წაავლებს და ერთბაშად ელექტრონის სინათლე იმის სახეს გაანათებს. ასეთი განათება იმიტომაა საჭირო, რომ იმისმა ყრუ-მუნჯთა მრევლმა ადვილად დაინახოს თითების ნიშნებით ლაპარაკი პასტორისა, რომელიც სიტყვათაც კი ამბობს იმას, რასაც თითებით ანიშნებს.

* *

გიჟების ექიმობაში ახალი საშუალება შემოუღიათ ამერიკაში. ნიუ-იორკის ექიმები ბონდი და მონეტი ქალთა საგიჟეთში ერთ საშუალებას ჰხმარობენ—სხვა-და-სხვა ფერით ახალისებენ და ამშვიდებენ ავადმყოფებს, მაგრამ ფერებს ისეთს ჰხმარობენ, რომელიც თვით ბუნებაშია. ამისათვის ავადმყოფს ყველაფერს ერთის ფერისას უკეთებენ, იმ ფერისას, რომელიც, ექიმების რჩევით, უფრო სახალისო იქმნება ამა თუ იმ ავადმყოფთათვის. ოთახი ერთიანად ერთის ფერითაა შეღებილი; ფანჯარაში ამავე ფერის შუშებია ჩასმული; საწოლი და ორი-სამი სკამიც ისეთისავე ფერისაა. ავადმყოფი თუ მეტად გიჟია, იმას სულ შავ-ფერის ოთახში დააბინავებენ და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს თურმე ავადმყოფზე.

* *

ქალების პირ-ბადე. გერმანიის გამოჩენილი თვალის ექიმი ნაგელი დიდი-ხანია ჰქადაგებს ქალების პირ-ბადის (ვუალი) წინააღმდეგ და, აი, ეხლაც ამის შესახებ ერთ საექიმო ჟურნალში მოგვითხრობს თავისის დაკვირვებით რა გამოიტანა: 88 თვალით ავადმყოფი შეუსწავლია; ყველა ესენი პირ-ბადეს ატარებდნენ, და როგორც ეს მეცნიერი მოგვითხრობს, ას ქალში 77 თვალს იფუჭებს პირ-ბადის ხმარებით. თვალის სისუსტე მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ გამოაჩნდება თურმე. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია, განიერსა და ვიწრო პირ-ბადეს ატარებს ქალი, ან ახლოს აქვს თვალთან, თუ არა; აგრეთვე ფერსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ექიმი ნაგელი ურჩევს უფრო შავი-ფერის და განიერის პირ-ბადის ხმარებას.

* *

შეშა და მილიონები. ამერიკაში ბევრი მილიონების პატრონი ხშირია, ამათგან ვინ რით მდიდრდება და ვინ რითა, მაგრამ მილიონების პატრონი მაკ-კეი-კი შეშით ვაჭარი იყო და უმეტესად მხოლოდ ამ გზით უმრავლებია თავისი ქონება. პირველ ხანებში მაკ-კეი უბრალო მუშად მისულა კანადას, ხელობით მხერხავი ყოფილა. ამ დღეებში ეს მდიდარი გარდაცვლილა და 500 მილიონის ქონება დარჩენია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 დეკემბერი.

პეტერბურგი. 1 დეკემბერს პეტერბურგ-ვარშავის გზაზე, ვილნოში, მატარებელი № 3 შეცდომით გაუშვეს მთავარ ლიანდაგზე, სადაც დაეტაკა გაჩერებულ მატარებელს № 43-ს. ორსავე მატარებელში ოთხ-ოთხი ვაგონი წახდა. მსუბუქად დაშავდა 3 მგზავრი და 1 კონდუქტორი.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა კოვალევსკიმ, თხოვნის თანახმად, სამსახურს თავი გაანება. იმის ადგილას დანიშნულ იქმნა ბერლინში მყოფი აგენტი ტიმირიაზევი.

— დაარსდა პოლონეთში ბეითალთა პირველი საზოგადოება.

ხარკოვი. მთა-მადნის მწარმოებელთა კრება დასრულდა. საბჭოს თავმჯდომარედ ავდაკოვი აარჩიეს.

სერპუხოვი. შეიპყრეს კაშირის საპყრობილედან გაქცეული ორი ტუსაღი. როდესაც ჩასვეს, კიდევ მოისურვეს გაქცევა და ყურის-მგდებელს სცემეს. გაქცევის დროს ზედამხედველმა ერთი ტუსაღი მოჰკლა, მეორემ ფეხი მოიტეხა.

გიბრალტარი. გაიარა რუსეთის ესკადრამ, უთუოდ ალჟირისაკენ მიმავალმა.

ბერლინი. მიიღეს მთლად სატარიფო კანონ-პროექტი. კრება დაიხურა 31 დეკემბრამდე.

ლონდონი. ოფიციალურ წრეებში არა იციან-რა კასტროს იმ წინადადების შესახებ, რომ ვენეცუელასთან ატეხილი დავა სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს.

კონსტანტინეპოლი. მუსურუს-ბეი ელჩად დანიშნეს ლონდონში.

რიაზანი. დაიწვა არაცკის მაუდის ქარხანა. ზარალი რამდენიმე ასი ათასია.

კიევი. დაიწვა ალექსანდროვის ამხანაგობის შაქრის ქარხანა. ზარალი მილიონზე მეტია.

ბერლინი. სიამმა გადასწყვიტა: დააწესოს გამგეობა სახალხო ჯანმრთელობისა, განყოფილება საამშენებლო საქმეების განსაგებათ, დააარსოს საბაქტერიოლოგიო ინსტიტუტი, სადაც ფრანგი მკურნალები იქმნებიან; მოიწვიოს სამსახურში ფრანგულის ენის მასწავლებელნი და სუბსიდია დაუნიშნოს ფრანგ ნაოსნებს, რომელნიც ბანგკოკისა და საიგონის შუა დადიან.

ლაგუაირა. გერმანიის სამხედრო გემმა შეიპყრო ვენეცუელის გემი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1902 წლის 18 დეკემბერს, შუა დღისას, მისის თანადასწრებით ვაჭრობა იქნება გამართული იმ მამულების გასასყიდათ, რომელთა პატრონთ სახელმწიფო და სახაზინო გადასახადი არ შემოუტანიათ. ესენი არიან შემდეგნი:

1) ოდიშარია ეგნატე კოჭოს ძე, ხის სახლი და ეზო, ივანოვის ქუჩაზე, მე-XXIV კვარტალში, № 248, ზომით 343,25 ოთხ-კუთ. საჟ., დარჩენილი გადასახადი 11 მან. 40 კაპ.

2) ჭიჭინაძე მიხეილ, სადუქნე ადგილი, ლევაშოვისა და ცერკოვნი ქუჩების კუთხეზე, ზომით 80 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახ. 5 მან. 50 კ.

3) ჯორჯიკია ბეჟან, დაპლანული ადგილი, გრეჩესკი ქუჩაზე, მე-XXV კვარტალში, № 288, ზომით 240 ოთხ-კ. საჟ., დარჩენილი გადას. 10 მ. 88 კ.

4) სმიტისა ბრონისლავა ალექსანდრეს ასული, დაპლანული ადგილი ციციანოვისა და პალეოსტომის ქუჩების კუთხეზე, მე-CXV კვარტალში, № 1033, დარჩენილი გადასახადი 19 მან. 67 კ.

5) ერისთავისა ბარბარე (ეხლა ვერა ერისთავისა), დაპლანული ადგილი ლაზარევიჩესკი ქუჩაზე მე-XVI კვარტალში № 143 ზომით 400 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახადი 6 მან. 25 კაპ.

6) ხუნცარია მარკოზა, ცარიელი დაპლანული ადგილი უკაპარჭინსკი ქუჩაზე, მე-XXII კვარტალში № 218, ზომით 536 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გად. 3 მან.

7) ჯდანჯდავასი ევფროსინე შევარდენის ასული, ხის სახლი ლალინსკი ქუჩაზე, მე-XXII კვარტალში № 232, დარჩენ. გადასახადი 62 მან. 32 კ.

8) კორტუშვილი იულონ, ცარიელი დაპლანული ადგილი ციციანოვის ქუჩაზე, მე-XLVII კვარტალში, № 475, ზომით დაახლოვებით 260 ოთხ-კ. საჟ., დარჩენ. გადასახადი 2 მ. 53 კ.

9) სმირნოვი დიმიტრის მემკვიდრეთა ეზო ძგურის სახლით, არმიანსკი ქუჩაზე, მე-VII კვარტალში, № 71 ზომით 800 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გად. 16 მ. 37 კ.

10) შტოშელისა ოლგა, ხის სახლი გაგარინსკი წყლისპირა ქუჩა, მე-XCVII კვარტალში, № 922, დარჩ. გადასახადი 3 მ. 68 კ.

11) ანდრეევისა ალექსანდრა ფილიპეს ასული, ცარიელი დაპლანული ადგილი ფოთის დიდ კუნძულზე ნახიმოვსკისა და ბერდიანსკის ქუჩების კუთხეზე, № 889, ზომით 200 ოთხ-კ. საჟ., დარჩენილი გადასახადი 1 მან. 94 კ.

12 ჯაკობია პეტრე, ათანასე ქოიავასი და ბურდღუ ფარლალავას მემკვიდრენი, გრიგოვსკი ქუჩაზე, № 199, ზომით 100 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახ. 4 მ. 58

13) ბარანოვსკის ქვრივი, ცარიელი ადგილი პეტროვსკისა, წყლის-ნაპირასა და ნოვოროსიისკის ქუჩების კუთხეზე № 997, ზომით 200 ოთხ-კ. საჟ. დარჩენილი გადასახადი 1 მ. 84 კ.

14) კიკიანი სტეფანე, ცარიელი ადგილი დიდ კუნძულზე, გრეიგოვსკისა და როსტოვსკის ქუჩების კუთხეზე № 840, ზომით 200 ოთხ-კ. საჟ., დარჩენილი გადასახადი 5 მან. 2 კ.

15) ხანდილი სტავრო, ცარიელი ადგილი მიხაილოვსკისა და ოდესკი ქუჩების კუთხეებზე № 37, ზომით 20 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახადი 2 მ. 2 კ.

16 ნაკაშიძისა სოფიო ნიკოლოოზის ასული, სამი ცარიელი დაპლანული ადგილი დიდ კუნძულზე ხერსონსკის ქუჩაზე №№ 75, 76 და 77, ზომით 740 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახადი 5 მან. 97 კ.

17) იანოვსკისა ჰენრიეტა ანდრიას ასული, ცარიელი ადგილი დიდ კუნძულზე ოდესკი ქუჩაზე № 31, ზომით 200 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახადი 2 მ. 98 კ.

18) შარაშიძე მიხეილ ზურაბის ძე, დაპლანული ადგილი დიდ კუნძულზე კორნილოვსკის ქუჩაზე № 544, ზომით 200 ოთხ-კ. საჟ., დარჩ. გადასახ. 1 მან. 61 კ. (3—3)

საკვირველება

მე-XX-ე საუკუნისა.

საოცარი და საკვირველი მოვლენა: უხელო კაცი, **სინიორ ბარტონი**. დაიბადა უხელოდ 1880 წ. ქალაქს პალერმოში (იტალიაშია), გაათავა სამხატვრო აკადემია, ამასთან მეცადინეობდა და ჰხატავდა ფეხებით. 10 წუთში გადაიღებს მსურველის სურათს ყველას თვალ წინ. სეანსები ყოველ ნახევარ საათს შემდეგ იქ, სადაც **ღია ხატებიან წერილების გათამაშება** ფირმის A la Yille de Paris“-ის საწყობში, გოლოვინის პროსპექტზე, სახაზინო თეატრის პირ-და-პირ. შესვლა ღირს 25 კ. ბავშვები 15 კ. დიდებს ეძლევათ პრემიად 6 ღია წერილი, ბავშვებს 3 წერილი. (4—464—3)

КТО лябитъ книги и интересуется всѣмъ, что имѣетъ къ нимъ хотя бы малѣйшее отношеніе, кто желаетъ знать, что творится въ литературномъ мірѣ въ Россіи и заграницею, хочетъ слѣдить за текущею литературою по всѣмъ отраслямъ и знать всѣ книжныя новости—тотъ пусть подпишется на самыи дешевый русскій ежемѣсячный иллюстрированный журналъ: **КНИЖНЫХЪ МАГАЗИНОВЪ ТОВАРИЩЕСТВА М. О. ВОЛЬФЪ** ***ИЗВѢСТІЯ ПО ЛИТЕРАТУРѢ, НАУКАМЪ И БИБЛІОГРАФІИ***, который, кромѣ массы текущихъ свѣдѣній, справочнаго матеріала, списковъ, и каталоговъ новыхъ книгъ, русскихъ и иностранныхъ и т. п., помѣщаетъ статьи и изслѣдованія по исторіи литературы, критикѣ, библіотековѣдѣнію и пр. и пр., съ многочисленными иллюстраціями. Подписная цѣна на годъ 1 р., на веленевой бумагѣ 2 р. Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. Вольфъ: Спб, Гостиный Дворъ, 18, и Москва, Кузнецкій Мостъ, 12. (Ђ. 6—1)

Открыта подписка на еженедѣльную газету

„АРГОНАВТЪ“

Газета будетъ выходить подъ новой редакціей.

Первый № возобновляемаго „АРГОНАВТА“ выйдетъ 8 декабря 1902 г.

Условія подписки.

Годовая плата для городскихъ подписчиковъ—5 руб., для иногородныхъ—7 руб. На полгода: для городскихъ—3 руб., для иногородныхъ—4 руб.

Отдѣльные №№ по 15 коп.

Годовые подписчики 1903 г., подписавшіеся теперь же, получаютъ безплатно газету въ декабрѣ текущаго года.

Бывшіе подписчики газ. „Аргонавтъ“, внесшіе плату за 1902 г., будутъ получать возобновляемое изданіе до 15 іюня 1903 г. Тѣ изъ нихъ которые пожелаютъ получать „Аргонавтъ“ до 1 января 1904 г. вносятъ дополнительно 3 рубля.

За обявленіе взимается: за строку петита 10 коп. Годовыя объявленія со значительной скидкой.

Подписка и объявленія принимаются: 1) въ редакціи „Аргонавтъ“ (Сергіевская, д. № 2) ежедневно отъ 10 до 2 ч.; 2) въ Центральной книжной Торголвѣ (Головинскій, д. Мириманова) и 3) въ табачномъ магазинѣ „Гаванна“ (Головинскій, д. 3). Иногородніе адресуютъ: Тифлисъ, редакція „Аргонавтъ“.

Ђ. 4—1)

Вр. редакторъ ***Р. А. Іоаннисіани.***

მაზოლის მალამო გოლლენდერ

მაზოლი ჰქრება გოლლენდერის მალამოსაგან სრულიად ტკივილის უგრძნობლად. ერთი შუშა ღირს 35 კაპ., 2 შუშა იგზავნება ფოსტით 1 მანათად ი. გოლლენდერის ლაბორატორიიდან, **პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13.**

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (5—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2 декабря. 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)